საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 92 ამხ. მ. გ. სტაჟაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი ამხ. მარგარიტა გრამიტონის ასული **სტაჟაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 93 ამხ. ბ. გ. ბელეცკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბელა გიორგის ასული **ბელეცკაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 14 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 94 ამხ. გ. დ. გულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი დიმიტრის ძე გულია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 14 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 95 ამხ. ვ. ს. ვეფხვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე ამხ. ვახტანგ სევერიანის ძე ვეფხვაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 96 ამხ. ზ. ი. კირთაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით ქუთაისის № 37 საშუალო საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ამხ. შალვა იოსების ძე კირთაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 97 ამხ. მ. ს. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის უფროსი რედაქტორი ამხ. მარიამ სიმონის ასული ლეჟავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 98 ამხ. ა. რ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით გორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ავთანდილ რევაზის ძე ჩხეიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 99 აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზეთის ეროვნული ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და მისი პროპაგანდისათვის, დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 100 აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხალხური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობები:

კვარჩია ვალიკო ფრანკილოს ძე — დამდგმელ-ბალეტმაისტერი.
მიქანბა ედუარდ კუკოს ძე — ბალეტის სოლისტი.
საკანია ოთარ გრიგოლის ძე — მუსიკოსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 101 ამხ. ა. ს. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი ამხ. აკაკი სამსონის ძე კობერიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 102 ამხ. ნ. მ. მგელიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს მონადირეთა და მებადურთა კავშირის — „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე **მგელიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 103 ამხ. ო. გ. პატიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ოთარ გიორგის ძე პატიაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**104** ამხ. გ. ლ. ყანდარელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი ამხ. გივი ლუარსაბის ძე ყანდარელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**105** ამხ. ტოგარე ბროს (ტ. ტ. ბროევის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ქურთი მწერალი ტოგარე ბრო (ტოგარ ტეჯირის ძე ბროევი) დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 30 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**106** ამხ. ე. ა. ფეიგინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ემანუილ აბრამის ძე

ფეიგინი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 30 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 107 ამხ. გ. პ. ძათიათის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ოსი მწერალი გიორგი პეტრეს ძე ძათიათი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 30 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 108 ამხ. შ. ლ. წვიჯბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობის, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი შალვა ლეივარსანის ძე წვიჯბა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 30 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა გაიმართა 1983 წლის 31 მარტს. სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. პ. გ. გილაშვილის ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების დიდმნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს საბჭოთა მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა იმ დებულებათა შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს 1982 წლის საქმიანობის შესახებ მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მასალებში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ ორგანოებს დაევალათ უფრო კონკრეტულად მოეკიდონ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვის საკითხებს, უფრო ღრმად ჩასწვდნენ და ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებაზე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კადრების დენადობის შემცირებაზე, ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებაზე, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაზე;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას, საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმების უცილობლივ შესრულებას მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის;

უზრუნველყონ ძალთა კონცენტრაცია საქმიანობის მთავარ მიმართულებებზე საჭირო საბოლოო შედეგების მისაღებად, მიაღწიონ კონტროლის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას კანონებისა და საგეგმო დავალებების შესრულებისადმი, საშემსრულებლო დისციპლინის თანამიმდევრული განმტკიცებისადმი საბჭოების ყველა რგოლში;

მუდმივად სრულყონ საბჭოების მუშაობის ორგანიზაციის ყველა ფორმა, გააუმჯობესონ საბჭოების სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების

სხდომათა მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა, უფრო სრულად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლისა და შემოწმების გასაძლიერებლად;

მკვეთრად შეამცირონ მისაღებ დადგენილებათა რაოდენობა, აამაღლონ მათი მიზანმიმართულება და მამობილიზებელი ზემოქმედების ეფექტიანობა. თანამიმდევრულად აღმოფხვრან ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ფაქტები საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში;

გააფართოონ და გააღრმაონ დემოკრატიული პრინციპები და საჯაროობა საბჭოების მუშაობაში, განამტკიცონ დეპუტატთა კავშირი მოსახლეობასთან, შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სახალხო დეპუტატთა აქტიურობასა და ინიციატივას საბჭოებსა და საარჩევნო ოლქებში მათს მუშაობაში.

შესაბამისი დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას და განყოფილებებს.

მოისმინა რა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ს. ემირიძის ინფორმაცია „საბჭოთა კავშირის ერთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის თაობაზე, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქალაქო საბჭო პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად ახორციელებს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით ღონისძიებებს მოძმე საბჭოთა ხალხების მეგობრული ურთიერთკავშირის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, თანამიმდევრულად სრულყოფს ახალი ადამიანის ფორმირების, მშრომელთა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით აღზრდის პროფესებს, უფრო მიზანსწრაფულად იყენებს თავის უფლებამოსილებას ეკონომიკური და სოციალური მშენებლობის ხელმძღვანელობის სრულყოფის, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ასამაღლებლად.

სულ უფრო მტკიცდება ბათუმის ეკონომიკური და კულტურული კავშირი ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ქალაქებთან, რუსეთის ფედერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოწინავე საწარმოებთან. თითქმის ყველა რესპუბლიკაში იგზავნება ბათუმში დამზადებული სამრეწველო პროდუქცია.

ბათუმელი ჭაბუკები და ქალიშვილები აქტიურად შრომობენ ბამის, ურენგოი-უჟგოროდის გაზსადენის ტრასისა და სხვა საკავშირო კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობებზე. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემები შედიან მსოფლიოს 55 ქვეყნის 145 ნავსადგურში.

მუშაობის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარება, დაძმობილებული ქალაქების მშრომელთა მეგობრული შეხვედრები ღრმად ერწყმის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის პროცესს.

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას დიდად უწყობს ხელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მყარი კონტაქტები.

ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა თაოსნობით ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ტრადიციული გახდა ქუჩების, მიკრორაიონების ტერიტორიაზე გამართული ზეიმები, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრები. გაჩნდა და გავრცელდა ახალი ყოფის დამახასიათებელი რიტუალები.

ერთიან, ძმურ ოჯახად ცხოვრობს და შრომობს ბათუმში 80 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი.

ბათუმის კულტურის სახლები, კლუბები, მხატვრული თვითმოქმედების მთელი ქსელი აქტიურ პროპაგანდას უწევენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა კულტურასა და ხალხურ შემოქმედებას.

მოსახლეობის ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლუბი.

ბათუმში რეგულარულად ტარდება მოკავშირე რესპუბლიკათა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების კულტურისა და ლიტერატურის დღეები, თეატრების და სხვა შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლები, კინოფესტივალები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენები და ა. შ.

პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მრავალ მასალაში აისახა აჭარის მშრომელთა ინტერნაციონალური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები, სსრ კავშირის ხალხთა უანგარო დახმარების შედეგად მოპოვებული წარმატებები, მათი მიღწევები პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განმტკიცების საქმეში. რეგულარულად გამოდის ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ლიტერატორთა კრებული. აჭარის მწერალთა ბევრი ნაწარმოები თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი საშუალება აქვს და სათანადო დავალებანი მიეცა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. ა. შუშანაშვილის მოხსენება რესპუბლიკის მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების თაობაზე ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესრულების შესახებ. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულების მიზნით ზემოთითებული ორგანოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერების, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობის შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად გასაწევი დახმარების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მოწესრიგებულია მოქალაქეთა მისაღებად ზემოაღნიშნული ორგანოების მუშაობის რეგლამენტი; ჩატარებულია დათვალიერება-კონკურსები საუკეთესო იურიდიული კონსულტაციის, სანოტარო კანტორისა და მმაჩის განყოფილების წოდებაზე; გაიზარდა საზოგადოებრივი იურიდიული საკონსულტაციო პუნქტების რაოდენობა, რომლებიც მოქალაქეებს მომსახურებას უწევენ არასამუშაო დროს.

ამასთან ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს:

გააძლიეროს ხელმძღვანელობა ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობისადმი; განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართლებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მათი მუშაობის სრულყოფისათვის;

სისტემატურად გაუწიოს კონტროლი ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობას, უფრო მკაცრად მიუდგეს კადრების შერჩევის საქმეს, მიაღწიოს დისციპლინური პრაქტიკის ეფექტიანობას, პრინციპულად შეაფასოს სამსახურებრივ მოვალეობათა არაკეთილსინდისიერი შესრულების, შრომის დისციპლინისა და სამსახურებრივი ეთიკის დარღვევის შემთხვევები;

ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში სოციალისტურ შეჯიბრებათა და დათვალიერება-კონკურსების ჩატარება საუკეთესო იურიდიული კონსულტაციის, სანოტარო კანტორისა და მმაჩის განყოფილების გამოსავლენად; მუდმივი ყურადღება დაუთმოს წახალისებას პროფესიული მოვალეობის უმწიკვლოდ შესრულებისათვის;

უზრუნველყოს იურიდიული კონსულტაციების აქტიური მონაწილეობა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში სახალხო მეურნეობის იმ ობიექტებზე, რომელთაც ისინი მომსახურებას უწევენ;

პერიოდულად განაზოგადოს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობა და მიიღოს ქმედითი ზომები გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

მოსთხოვოს სახელმწიფო ნოტარიუსებს უფრო აქტიური იურიდიული დახმარება გაუწიონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თანამდებობის პირებს სანოტარო ფუნქციების განხორციელებაში;

მუდმივი ყურადღება დაუთმოს მმაჩის ორგანოების მუშაკთა სწავლებას მათი სამართლებრივი კვალიფიკაციის ამაღლებას;

საქართველოს სსრ კულტურის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად მიაღწიოს სამოქალაქო წეს-ჩვეულებათა უკეთ ორგანიზაციას და განუხრელად დანერგოს სოციალისტური ტრადიციები, გაავრცელოს ამ მუშაობის დადებითი გამოცდილება;

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე კადრებით ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების განმტკიცებისათვის.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ სისტემატურად გააკონტროლონ ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობა და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ მუშაობის ახალი ფორმების და სამართლებრივ საკითხებზე მოქალაქეთა მომსახურების ახალი რეჟიმის დანერგვაში, მუდმივი ყურადღება გამოიჩინონ სანოტარო ფუნქციების შემსრულებელ აღმასკომების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციის საკითხებისადმი; მიიღონ ზომები სანოტარო კანტორებისა და მმაჩის განყოფილებების სათანადო შენობებითა და მოწყობილობით უზრუნველყოფის შესახებ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა უთუო შესასრულებლად.

*

* *

მოისმინა რა საკითხი საქართველოს შაქრის კომბინატში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კომბინატის ხელმძღვანელობა ამ საქმისადმი იჩენს ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას; ანალიზი არ უკეთდება წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობას, არ არის დაწესებული კონტროლი განყოფილებებისათვის გადაცემული განცხადება-საჩივრების განხილვის მიმდინარეობაზე, მოუგვარებელია მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია, რის გამოც ადგილზე ვერ მოიძებნა 1982 წელს მიღებული, 65 განცხადება; ზოგიერთი განცხადება რეაგირების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეშეა დატოვებული; )გაუმართლებლად ჭიანურდება განცხადება-საჩივრებში დაყენებული საკითხების გადაწყვეტა. სერიოზული ნაკლოვანებებია მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეში. არადამაკმაყოფილებელია მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, რაც კადრების დენადობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებს შრომის ორგანიზაცია და საშემსრულებლო დისციპლინა. მიუხედავად იმისა, რომ ქარელის რაიონული და აგარის სადაბო საბჭოების აღმასკომებისათვის ცნობილი იყო შაქრის კომბინატში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები, მათ ქმედითი ზომები არ მიუღიათ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად და კომბინატის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ დროული და სათანადო რეაგირება არ მოახდინა 1982 წელს შაქრის კომბინატიდან მიღებულ 10 განცხადება-საჩივარზე, რომლებშიც აღნიშნული იყო კანონიერების დარღვევის ფაქტები; კოლეგიას ერთხელაც არ უმსჯელია კომბინატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, თუმცა სამინისტროს ამისათვის საკმაო საფუძველი ჰქონდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა საქართველოს შაქრის კომბინატში არსებული ძალზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში და დაავალა კომბინატის დირექტორს (ამხ. გ. ჯანიაშვილი) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები გაცხადება-საჩივრებში დაყენებული საკითხების დროულად და სწორად გადასაწყვეტად.

ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა:

მოაწესრიგოს შაქრის კომბინატში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე; ეს საკითხი განიხილოს აღმასკომის სხდომაზე და დამნაშავე პირთა მიმართ მიიღოს სათანადო ზომები.

რეგულარულად შეისწავლოს თავის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის საკითხები;

აამაღლოს ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა, მკაცრად მოსთხოვოს პასუხი იმ თანამდებობის პირთ, რომლებმაც განცხადება-საჩივრების განხილვისადმი გამოიჩინეს უყურადღებო, ფორმალური დამოკიდებულება;

პერიოდულად მოაწყოს ღია წერილის დღე მოსახლეობის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღმასკომის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე განიხილოს რაიონის მშრომელთა საჭირბოროტო საკითხები, რის შესახებაც წინასწარ აცნობოს მშრომელებს და საკითხების გადაწყვეტისას გაითვალისწინოს მათი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს (ამხ. რ. კონცელიძე) დაევალოს დასახოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი საქართველოს შაქრის კომბინატში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მუშა-მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის განმტკიცების, მათი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევალათ მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის და „სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბოლო დროს შემოსული მშრომელთა წერილების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილების და „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 4 მარტის ბრძანებულების მოთხოვნებით.

*
*   *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. შუშანაშვილის, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ამხ. ვ. სობოლევის, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. კ. შავიშვილის, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. კ. ბაქრაძის და თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ბ. შოშიტაიშვილის ინფორმაციები საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მზადებასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკაში პნევმოკონტეინერული ტრანსპორტის დანერგვის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების თაობაზე, ინფორმაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის მუშაობის შესახებ და სხვ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ვანისა და ლაგოდეხის რაიონების სასოფლო საბჭოების მიერ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების შესახებ. აღინიშნა, რომ ორივე რაიონის სასოფლო საბჭოები, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის

XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გარკვეულ მუშაობას ატარებენ სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების და მათი დასვენების ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

ამასთან ერთად ითქვა, რომ ვანისა და ლაგოდეხის რაიონების მთელი რიგი სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოები სრულად ვერ იყენებენ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს, ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევენ დაქვემდებარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მათი საქმიანობა, მუშაობის ფორმები, ჩატარებული ღონისძიებების შინაარსი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ბოლო ორი წლის მანძილზე სასოფლო საბჭოების უმრავლესობას არ განუხილავს სესიაზე და ფართოდ არ უმსჯელია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ, ხოლო სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ ამ მიმართულებით განხილულ საკითხებს აკლიათ კონკრეტულობა; არ ხდება მიღებულ გადაწყვეტილებათა შემოწმება.

სათანადო კონტროლი არ ეწევა კულტურის დაწესებულებათა სპეციალური სახსრების სწორად გამოყენების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო საზოგადოებების კულტფონდების სახსრების ცენტრალიზებულად გამოყენების საქმეს.

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში ნაკლებადაა გამოყენებული სოციალურ-კულტურული ფონდები, ადგილობრივი რესურსები, ჭარბი შემოსავლები. ბევრ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას არა აქვს სათანადო მოწყობილობა, ინვენტარი, მუსიკალური ინსტრუმენტები. ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის, ცოდნის, კაბალის, ლელიანის, ვანის რაიონის გადიდის, ყუმურის, მუქადის, უხუთის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა წლების მანძილზე ვერ უზრუნველყვეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთება.

ბევრი სოფლის ბიბლიოთეკა კერძო პირებისაგან დაქირავებულ ან უვარგის და შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. გაუმჯობესებას მოითხოვს მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით მომარაგება. სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების საქმეშიც.

სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ კულტურულ-საგანმანათლებელო მუშაობაში თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ ისტორიულ ძეგლებს, ნაკლებად ზრუნავენ მათი მოვლისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებები განპირობებულია იმით, რომ ვანისა და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების აღმასკომები კულტურული მშენებლობის დარგში თანამიმდევრულად ვერ ახორციელებენ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, საჭირო კონტროლს არ აწესებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულების, ქვემდგომი საბჭოებისა და ცალკეულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის სწორად წარმართვისადმი, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ საქმეში სასოფლო საბჭოებისა და სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დადებით გამოცდილებათა განზოგადებას. მათ ჯეროვან მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა"

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიამ სხდომაზე მოისმინა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის" მმართველის ამხ. ვ. გვარჯალაძის მოხსენება რესპუბლიკაში სამრეწველო მეფრინველეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. აღინიშნა, რომ სისტემის საწარმოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვან მუშაობას ახორციელებენ სამრეწველო მეფრინველეობის სრულყოფისათვის. ტარდება კონკრეტული ღონისძიებები დარგის ინტენსიფიკაციისა და კონცენტრაციისათვის. ფართოვდება ფაბრიკების ქსელი, ყოველწლიურად იზრდება ხორცისა და კვერცხის წარმოება. ბოლო ათი წლის მანძილზე ფრინველის ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვა გაიზარდა 4-ჯერ, კვერცხისა 3,7-ჯერ სათანადო ყურადღება ეთმობა წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. სპეციალისტების მომზადებასა და დაკომპლექტებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

მეფრინველეობის საკითხებს გარკვეულ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, შესაბამისი მუდმივი კომისიები.

ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში სამრეწველო მეფრინველეობაში კვლავ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია.

კომისიებმა ორივე განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

## ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 23 მარტის ბრძანებულებით დმანისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გამოეყო

სოფლები კამარლო, ქარიანი, შახმარლო და შეიქმნა კამარლოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ კამარლოში. დმანისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოდან გამოყოფილი სოფელი დალარი მიეკუთვნა ქვემო ოროზმანის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს.